ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 64

30 მარტი
"___" _____ 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ივნისის №1295028 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.333) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 18 მაისის №20 და 22 ივნისის №25 ოქმების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 04 ივლისის №04/7698 წერილის (AR1487728) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ივნისის №1295028 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.333) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში. საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები:

№01.14.03.040.352; 01.14.03.040.357; 01.14.03.040.356, გრგ საპროექტო ტერიტორიის ჯამურ ფართობად 6854 კვ.მ და საპროექტო ობიექტს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსს, დაემატოს ოფისის და საბავშვო ბაღის ფუნქცია.

2 აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**